



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #019/19¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ნუგზარ მოსიძე (სტუდენტი)

საქმის ფაქტები

ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც მიმდინარეობდა საქმის არსებითი განხილვა ბრალდებულის ადვოკატმა, მიუხედავად მოსამართლის მიერ არაერთგზის მოწოდებისა დაეცვა წესრიგი დარბაზში, არ დაემორჩილა მოსამართლის გაფრთხილებებს, რის გამოც ადვოკატი თავდაპირველად დაჯარიმდა 100 (ასი) ლარის ოდენობით, შემდეგ კი, დაუმორჩილებლობის გაგრძელების გამო ჯარიმის ოდენობა გაიზარდა 200 (ორასი) ლარით. მიუხედავად დაჯარიმების შესახებ განკარგულების გამოტანისა, ადვოკატმა იმავე სხდომაზე კვლავ განაგრძო არასათანადო ქცევა და სასამართლოს უპატივცემულობა, რის გამოც ადვოკატი მოსამართლის განკარგულების საფუძველზე გაძევებული იქნა სასამართლო სხდომის დარბაზიდან. ადვოკატის განმარტებით, მოსამართლეს აქვს წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი და არის მიკერძოებული, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: მოსამართლე პროცესის მიმდინარეობისას ბრალდების მხარის პროტესტის გარეშე, თვითნებურად ხსნიდა დაცვის მხარის კითხვებს, თვითნებურად აუქმებდა დაცვის მხარის სასარგებლო პასუხებს, ბრალდების მხარისათვის სასარგებლო ინტერპრეტაციას აძლევდა მოწმის ჩვენებას, ახდენდა მოწმის ჩვენების ფალსიფიცირებულ ფორმულირებას და პროკურორებს აძლევდა საშუალებას, რომ ჩართულიყვნენ მოწმის პასუხების ფორმირების პროცესში. ადვოკატის განმარტებით, დაცვის მხარეს არ გამოუჩენია სასამართლოსადმი უპატივცემულობა, არამედ გამოხატავდა სამართლიან პროტესტს უსამართლო ქმედებებზე.

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის მონაწილეთა უფლებები, ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქვეყნის წესებს. იმისათვის, რომ ეთიკის კომისიამ დაადგინოს სასამართლოში ადვოკატის ქცევა ეწინააღმდეგებოდა თუ არა ადვოკატის ეთიკურ სტანდარტებს, მნიშვნელოვანია გაირკვეს ადვოკატის მიერ სასამართლოში განხორციელებული მოქმედება საჭირო და აუცილებელი იყო თუ არა კლიენტის ინტერესის დასაცავად და ასეთმა მოქმედებამ ხომ არ გადალახა აზრის თავისუფლებისათვის დასაშვები ზღვარი, რაც ესეოდენ მნიშვნელოვანია ადვოკატისთვის მისი პროცესუალური როლის გათვალისწინებით. ეთიკის კომისია სასამართლო სხდომის დარბაზში ადვოკატის ქცევის შეფასების დროს ითვალისწინებს ადვოკატის მიერ წარმოთქმულ განცხადებებს, იყო თუ არა ის შეურაცხმყოფელი ტერმინებით გადმოცემული ან/და განცხადებების გაკეთების დროს მის ტონი იყო თუ არა აგრესიული. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ბ. ბ.-ს ქცევა არ შეიძლება გახდეს მისი დისციპლინირების საფუძველი, ვინაიდან ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის ინტერესების დასაცავად. მაშინ როდესაც, საქმის სამართლიანი განხილვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბოლოო გადაწყვეტილებაზე, ადვოკატ ბ. ბ.-ს მიერ გაკეთებული განცხადებები სწორედ მიმართული იყო საქმის სამართლიანი განხილვის მნიშვნელობაზე და ამ საკითხზე მოსამართლისთვის ყურადღების გამახვილებაზე. მას საჭიროდ და აუცილებლად მიაჩნდა

¹ <https://gba.ge/pdf/5e3d4f4e3bc18.pdf/019-19%20ar%20agdzvra%2002.12.2019.pdf>

საკუთარი აზრის დაფიქსირება მიმდინარე პროცესზე და მოსამართლის ქცევაზე. მართალია, ადვოკატის განცხადებები იყო კრიტიკული, თუმცა დასაშვები კრიტიკის ფარგლებში გამოთქმული (ის არ იყო უხამსი ან/და მოსამართლის მიმართ მტრულად განწყობილი ფორმით გადმოცემული), რისი თმენის ვალდებულება მოსამართლეს გააჩნდა. შესაბამისად, კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მოქმედებები არ ეწინააღმდეგება ეთიკურ სტანდარტებს, რის გამოც ადვოკატ ბ. ბ.-ს მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

დასკვნა

დისციპლინურ საქმეზე არ აღიძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ.